

ქართული ლექსიკის შენარჩუნებისა და სიტყვაქმნადობის საკითხისათვის იმერხეველთა მეტყველებაში

„იმერხევი შავშეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. იმერხევეში მიმავალი გზა მდინარე ფაფართის (მდ. იმერხევის) ღრმა ხეობას მიჰყვება ისე, რომ გზიდან მხოლოდ რამდენიმე სოფელი მოჩანს. დანარჩენი სოფლები ან ვიწრო ხეობების სიღრმეშია შემალული, ანდა მთების მაღალ კალთებზეა გაშლილი, გზიდან არ ჩანს. იმერხევი იწეება მდ. ყვირალას სათავეებიდან (ერთვის მდ. ფაფართს), სოფელ ყვირალადან (თურქ. დემირქაფი//დემირყაფი) და გადაშლილია მთელი ხეობის სიგრძეზე სოფელ შერთულამდე. აქ ხეობა მთაურდება, მდ. ფაფართი უერთდება შავშეთიდან მომდინარე სათლელის წყალს, რომელიც აქედან მოყოლებული ჭოროხის ხეობამდე იწოდება შავშეთის წყლად“ (ფუტკარაძე 1993: 32).

იმერხეული დიალექტი დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ნ. მარის მიერ ჩაწერილი უნიკალური მასალების, ტექსტების მიხედვით იყო ცნობილი (*Mapp 1910*), ხოლო მოგვიანებით იგი მონოგრაფიულად შეისწავლა შ. ფუტკარაძემ (ფუტკარაძე 1993).

ა. შანიძე და ა. მარტიროსოვი იმერხეულს სამხრულ-დასავლურ დიალექტურ ჯგუფს მიაკუთვნებდნენ (*Шанидзе 1972: 16; მარტიროსოვი 1972: 16*). ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიას, ი. ქავთარაძის აზრით, „ტერმინი იმერხეული ვიწროა და პირობითი. ფართო გაგებით, იგი წარმოადგენს ქართული ენის კილოს, რომელიც იმერხევის გარდა გავრცელებული უნდა ყოფილიყო კლარჯეთის დარჩენ ნაწილში და ალბათ შავშეთშიც და რომელსაც შეიძლება კლარჯული ან შავშურ-კლარჯული დარქმეოდა“ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე 1961: 371). შ.

ძიდიგურის აზრით, „იმერხეული უნდა მიეკუთვნოს დასავლური კილოების ჯგუფს, უმთავრესად აჭარულ-გურულს“ (*ძიდიგური 1970*: 152).

„შავშეთის ნაწილი იყო იმერხევი. ქართული მეტყველება დღეს ძირითადად აქაა შემორჩენილი... შავშეთ-იმერხევი ეთნოგრაფიულად ძალიან ჰგავს მთიან აჭარას“ (*თოფჩიშვილი 2010*: 143).

ისტორიულ სამშობლოს მოწყვეტილი ჯგუფი ლექსიკურ ერთეულთა სესხების პარალელურად საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს, ერთი მხრივ, ქართული ლექსიკური ფონდის შენარჩუნებისა და, მეორე მხრივ, სიტყვაქმნადობის თვალსაზრისით ენისთვის დამახასიათებელი მოდელებისა და მაწარმოებელი აფიქსების საშუალებით.

იმერხეველ ეთნიკურ ქართველთა მეტყველებაში დღემდეა შემორჩენილი ქრისტიანობასთან დაკავშირებული ლექსიკის კვალი, როგორც ეს ტოპონიმების შემთხვევაში ჩანს: ქათიჯვარი//ხატიჯვარი, საბეგიჯვარი, სამზიარები...

გურჯების გარდაცვლილზე *ცხოვნებულიო* იტყვიან: *ჩემი ცხოვნებული დედემ იტყოდა-ქი, მე ოცდაათი სახლი გავაკეთეო*.

იმერხევეში შემოგვრჩა ლექსიკური ერთეული *ბუჭულა* – პატარა წისქვილი.

სოფელ ქოქლიეთში (დიობანი) ხბოს აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულებად დაეადასტურეთ როგორც *თუმბულა*, ასევე *დარჩენად*.

პირველ ნათიბს *თივას* უწოდებენ, მეორე ნათიბს კი – *მორჩეს*: *ხატენავ ჯვალში მორჩე და ქორში მეიტან. ხელით მოთიბულ მოვეკრეფავთ, იმას ქორთში ქვია*.

მე პრეფიქსის საშუალებით შეუქმნიათ ისეთი საინტერესო სიტყვა, როგორიცაა *მეშველად*, შეურქმევიათ მწერისათვის, რომელიც *ქვებზე* ღაფა.

ნა პრეფიქსითაა ნაწარმოები *ნამდული* – ნამგაღს რომ მოუსვამ, ხელში რაც მოჭრილი ბალახი მოგყვება, იმას უწოდებენ.

სა- პრეფიქსითაა ნაწარმოები გასასუქებელი - საფუარი; საქედური - ჯარის შესაბმელი; სასაქმურა (რესპ.: საქმისთვის); *სასაქმურა იქ წვეილოდენ*.

იმერხეველი გურჯების ნენეს - ულ სუფიქსით ნაწარმოებ ნენულასაც უწოდებენ: *ნენულად ვერ ჩავა* იქა; *მიდგმული* კი შენახული საჭმელია.

-ურ სუფიქსის საშუალებით შეუქმნიათ თხის ნაზი ბეწვის აღმნიშვნელი სიტყვა **თჯისური**.

უმცროსი თაობის, განსაკუთრებით კი პატარების აღსანიშნავად გამოიყენეს ლექსემა *წერილი* და მასზე - *ელ* სუფიქსის დართვით შექმნეს **წერილელები**, ხოლო უფროსი თაობის აღსანიშნავად - *იან* სუფიქსის საშუალებით შექმნეს **დიდრიანები**:

დიდრიანებმა იცოდენ (რესპ.: ძველებმა, უფროსი თაობის წარმომადგენლებმა იცოდნენ).

იმერხეველთა მეტყველებაში - *ობა* სუფიქსის დართვით ლექსიკურ ერთეულზე *ახალ*, მიღებულია *ახალობა*, რაც *ახალგაზრდობას* ნიშნავს: *მემედის ახალობა* (მემედის ახალგაზრდობა).

-აკა სუფიქსითაა ნაწარმოები კინობითი სახელი **ქილაკად** - *კროჭი დიდია, ქილაკადსულ დიდი იყო*. ქილაკადში საკვებს ინახავდნენ.

ღა- ზმნისწინითაა ნაწარმოები ერთმანეთზე დაწყობილი ნივთების აღსანიშნავად გამოიყენებული ლექსემა **დაჭახული**: *ლოგინებ ერთმანეთზე დავაწყოფ, დაჭახულ ვეტყვით*, ამგვარადვეა ნაწარმოები **დაცოტავება**: *დავეცოტავედით; ფარა დაუცოტავეს*.

მო- ზმნისწინითაა ნაწარმოები **მოცივდება, მოცივდა** (რესპ.: აცივდება, აცივდა); **მოცივა** (რესპ.: აცივდება), ავანთებ სობას.

ა- ზმნისწინითაა ნაწარმოები: **აბუზანკლება**, რაც მოუსვენრობას ნიშნავს.

-ობა სუფიქსითაა ნაწარმოები **მწვანობა: მწვანობა არი** (რესპ.: სიმწვანეა).

ფუძის გაორმაგებით არის ნაწარმოები **ფეხდაფეხით** (რესპ.: ფეხით): **ფეხდაფეხით წახვიდე მაჰალედან, ორმოც წუთში ახვალ.**

კოკუები გურჯებისთვის ცომის პატარა გუნდებია; **ქუნჩალი** – სიმინდის ფოხვებია; **კოკორი** პატარა გუნდებია მჭადისა: **ჭადსა კოკორ ჩაედებდით.** სარჩოს-საბადებლის მნიშვნელობით გურჯების სიტყვა **პურს** იყენებენ, რასაც დიდი დატვირთვა აქვს ქართული ენის ლექსიკურ ფონდში. პური ქართველებისთვის მთავარ საარსებო საშუალებას უკავშირდება. ის კეთილდღეობის გამომხატველიცაა. **პურ-მარილიანი, პურ-ღვინიანი** ქართველისთვის ერთ-ერთი საუკეთესო შეფასებაა ადამიანის დახასიათებისას. ამ მხრივაც, ისევე როგორც ბევრ შემთხვევაში გურჯები არ განსხვავდებიან საზღვრის აქეთა ქართველებისგან: **შეპირში წვეიდე, ვინ უნდა მოგართვას პური?** (რესპ.: **ქალაქში რომ წავიდე, ვინ უნდა მარჩინოს?**). **პურ მოგართვამთ** (რესპ.: **საჭმელს მოგართმევთ**); **ჰაიდე, პური დიგიდე** (რესპ.: **საჭმელს მოგართმევთ**); **პური მემეშია** (რესპ.: **მომშივდა**), შევადართო ქართული ენის აღმოსავლური დიალექტებისთვის დამახასიათებელ **პური მომშივდა**, ან **პური ვჭამოთ.**

თავისებურად (რესპ.: შესაფერისი) ვერ ნახა.

კარგის მნიშვნელობით იყენებენ კეთილს: გზა კეთილი აკეთეს (რესპ.: გზა კარგი აკეთეს).

გაბრაზების მნიშვნელობით გაბრაზდებას იყენებენ: გაბრაზებული იქნებიან.

თურქეთის საქართველოში დღემდე შემორჩენილია **ფეხობის ტრადიცია.** ახალი წლის მეორე დღეს ოჯახში იმ ადამიანს, რომელიც პირველად შეაღებდა კარს და ოჯახში შეაბიჯებდა, ამ ოჯახის კეთილდღეობა და წინსვლა უკავშირდებოდა. საუკუნეების განმავლობაში ისტორიული სამშობლოს დიდ ნაწილს მოწყვეტილი გურჯების ამ ტრადიციას **ფერხობით** გამოხატავენ: **არვისთან არ უნდა შეხვიდე, უფერხებ.**

გაყინვა ზმნა გახიპვა სიტყვითაა გადმოცემული: **გუუხიპავს** (რესპ.: გაუყინავს).

ცხოვრების მნიშვნელობით იყენებენ სიცოცხლეს: ვინცხა მდიდარები არიან, ცოცხლობენ (რესპ.: ცხოვრობენ), ღარიბები ღარიბად ცოცხლობენ (რესპ.: ცხოვრობენ).

განათებას მათ მეტყველებაში ლექსიკური ერთეული განათლება ენაცვლება: ამდენ ხან ჩეგეცვა და ამდენ ხან გეგვენათლებინე (რესპ.: გაგვენეთებინე).

ტკივილის აღსანიშნავად იყენებენ წვა ზმნას: წელი მეწვის.

ამჯერად ზმნიზედის ნაცვლად შექმნეს ამპირა; ბარობაღა (რესპ.: ამიტომ).

ბიჭს რომ გოგო მოეწონება, საქართველოში იტყვიან: ბიჭს თვალი უჭირავს გოგოზე, თურქეთის ქართველებმა ეს ერთი ლექსიკური ერთეულით – თვალნაჭირით გამოხატეს: ღარჭი რომ მეეწონება, თვალნაჭირია.

ფრაზეოლოგიზმებია თავბრუ მესხმის; ყურ გდება (რესპ.: მიხედვა//მოხედვა): ბაღვი გეყოღვის, ყურ გიგდებ; ძიმე გული (რესპ.: დამძიმებულია).

იმერხევში მზე კი არ ჩადის, არამედ მზე ძვრება: მზე ჩაძვრა.

მზე როცა შუბის ტარზეა, იმერხეველი ქართველები ამბობენ: ბზემ (რესპ.: მზემ) პირი დამწვაო.

აღამიანი, რომელიც ძალიან უყვართ, თურქეთის ქართველებისთვის თვალი კაკალია: ჩემი თვალი კაკალია (შდრ.: ჩემი თვალის ჩინია).

შედარებებიც, რომლებსაც გურჯების მიმართავენ, სამუდამოდ აღიბუჭდება მეხსიერებაში: ჯინჭელით ნუ სწერავ (რესპ.: პატარ-პატარა ასოებით ნუ წერ).

დასტურდება პარონომაზიის შემთხვევები: სხვილი წეიმა გაწვიმდა; თოვლი გათოვლდა.

რაც შეეხება ინტერფერენციის ხარისხს, შეიძლება ითქვას, რომ ამდენი საუკუნის შემდეგაც ერთიანი საქართველოს ორგანიზმს მოწყვეტილი ხალხის მეტყველებაში ის იმ ხარისხის არ არის, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, რადგან ყველა შემთხვევაში თურქულიდან შემოჭრილი სიტყვებისა თუ მოდულების

გაქართულების ცდაა მოცემული სხვადასხვა სუფიქსების, თანდებულების, ზმნისწინების, თემის ნიშნების დართვის გზით:

-მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ -ებ სუფიქსს ურთავენ თურქულ ლექსიკურ ერთეულს: *ჩიხეგებია დარგული, წყალ აძღვე* (რესპ.: ყვავილებია დარგული, წყალს უსხამს);

-თურქულ ლექსიკურ ერთეულს აფორმებენ ქართული ენის -ში და -ზე თანდებულებით: *ბჭლიკი მეიტება, ართვინ იწვა ჰასთანეში* (რესპ.: საავადმყოფოში); *ჯენა ზეზე არიან* (რესპ.: დაკრძალვაზე არიან);

-თურქულ ზმნას ქართული -ავ თემის ნიშნით აფორმებენ: *ამბებ უდინგლაავ* (რესპ.: ამბებს ვუსმენ).

თურქულის გავლენით ფორმები კალკირებულია: *აღებული სხალია?* (რესპ.: ნაყიდი მსხალია?); *არაბა ღუჭირავან* (რესპ.: მანქანა აუყვანიათ); *ტელევიზორი გავსხენით* (რესპ.: ჩავრთეთ).

მოკლე ტექსტი ინტერფერენციის პროცესზე დაკვირვებისთვის, როდესაც ეთნიკურ ენაზე მეტყველი თურქეთის ქართველები, ქალები, რამეს გადმოგცემენ, გიყვებიან, დაახლოებით შემდეგი სახისაა: *იეშილი* (რესპ.: მწვანე) *ღობიო მოკერიფე, გავარჩიე ლამაზათ, ავადულე წყალი, იხი* (რესპ.: შიგნით) *ჩაყვარე, ტანი მოვხარშე, ამოყვარე სიმზე, ახლაც სამურსალი* (რესპ.: ნიორი) *მოკერიფე, ფასულიე* (რესპ.: ღობიო) *ჟავეზე უნდა დავაყარო, მარილიანი წყალი ფასულიე ჟავეზე უნდა დავასხა, მემრე უნდა მოუჭირო ყაფად* (რესპ.: თავსახური).

...*დაკრა ყაფად, სისხლი ჩექქვა, ჰასთანეში წვეიყვანეთ, ირმი დოქუზ* (რესპ.: ოცდაცხრა დღე) *იწვა, მემრე მოკტა; ქალი გენჯი დარჩა, დარჭი წვრილ-წვრილი; ახლა კონტროლზე დავდივარ, არაფერი აღარ გაქო; ორჯერ ამელიათი* (რესპ.: საოპერაციო) *გავხდი; სობა* (რესპ.: ღუმელი) *ანთია; აქ ქილისე* (რესპ.: ეკლესია) *არ არი ქი, ჩემ სოფელში მუდელიმი* (რესპ.: მასწავლებელი) *იყო.*

თურქული	ნასესხობები	მათ	მეტყველებაში
ძირითადად	საზოგადოებრივ		ცხოვრებასთან

დაკავშირებულ მოვლენებსა თუ პროცესებს, პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინებს ეხება: *მეეპურია* (რესპ.: მოსამსახურე, ჩინოვნიკი), *იშნია* (რესპ.: ხელოსანია), *ემექლი* (რესპ.: პენსიონერი), *მულელიძი* (რესპ.: მასწავლებელი) იყო.

თუ ეთნიკური ქართველები ქართველთა ყოფაცხოვრებასთან, ტრადიციებთან დაკავშირებულ თემებზე საუბრობენ, ბუნებრივად ნაკლებად იყენებენ თურქულ სიტყვებს:

ანადთივიდან ხო რომ გააკეთედა, მოგკრეფდით ერთად, გადავბლუზევდით, (რესპ.: გადავაბრუნებდით), *გადმოვბლუზევდით, ქორში შევდედით, ჩომას* (რესპ.: საქონელს) *მივართმევდით*.

საპონ დათვიქონით აკეთებდენ. ნაცარ თენექში (რესპ.: ქვაბში) *ჩააყენებდენ, ჩაყრიდენ, ზედელამა წყალ დაახხემდენ, ქვეშედან დაჭიჭნული* (რესპ.: დახვრეტილი) *იქნებოდა*.

ჩემი ანად არაბაზე დამჯდარი არ იყო (რესპ.: მანქანაში ჩანაჯდომი არ იყო), *არსად წასულიც არ იყო, მეც შორ არ გამგზავნა საკითხავად და ასე დაურჩი. ახლა ჩემი ფარა მექნებოდა, კაცის ხელში არ ვიყურებოდი* (რესპ.: კაცის ხელის შემყურე არ ვიქნებოდი).

ინტერფერენცია კარგად ჩანს ანდაზებში, რომლებსაც გურჯები იყენებენ: *მეზობელი მეზობლის ნაცარზე მუხთაჯიანო* (რესპ.: მეზობელს მეზობლის ნაცარიც სჭირდებაო).

კალკირებულია ბევრი ფრაზეოლოგიზმი: *შენი თავი გელი* (რესპ.: გელოდები).

კარგი მოქართულეებისგან ჩაწერილი ტექსტის მოკლე მონაკვეთი შესაბამისი ქართული ლექსიკით შემდეგი სახისაა: *იმერხევში თეთრ ხორბალსა თესვედენ, იქაური ხორბალი ჩვენზე კარგი იყო. ჩვენი კარგი არ იყო, გაწყდებოდა. აქა ცივი ადვილია, ზამთარი გრძელი. უგიაინდებოდა მოსლა. აქა ძველათ კალოს რომ გავლექავდით, გაათოვლებდა. ერთ თვეს უკან აქა ტკაველი თოვლი მოიდა*.

ძიმე მიწაში ჯილღას იხმარებ, იმას ბევრი ხარები უნდა, ძალა ბევრი უნდა. ერთ კევრსა მოვაბემდით ცხენსა, ხანდახან პაწა ბიჭსა მოვაჯდუმლებთ ცხენზე. ზოგი შუა ლეწდა, ზოგი გარედან ლეწდა, კარგა დაგალეწევდით შუა ბზეში (რესპ.: კარგად გავლევადით შუა მზეში). ხორბალს ჯვალში ჩავეყრიდით, ღამაში მარცვალები იყო. ჯვალ თხის ბაღანისგან ვქსოვდით. ათ-თხეთმეტ ჯვალსა დავაფქვევდით, ზამთარში ყინევდა, გაზაფხულამდინ გვეყოფოდა. საჭმელსა ფულით არ ვვიღებდით, გვეოფნულობდა. ფქვილები დალევნამდინ ხაროში იყო. ჭად გამუაცხობდით. ჭადის ფქვილი მაღე გამწარდება, სამ-ოთხ დღეს ვერ გადაარონიებ იმას. კეცის პური თხელ-თხელი იყო, ღამაზად გამოცხვებოდა.

ტლაპოსა მოხელდენ, იმას უკან გატყლაპენ, გააშრობენ, ცეცხლში გამოიწვის. ერთ კეცს ზემოდან მეორეს დააბურებენ. კეცს კვამლის სიშავე უდიოდა, მივხედებოდით, ჭადსა კოკორ ჩავედებდით, სველი შიგანად ეიბეროსო.

ოცი წელიწადი გახდა, კალო აღარ გვიღეწავს. ძველათ ერთობა იყო, გერმელობა იყო. აღარ მუა უკან ის წასული დღეები.

ასეთი ქართული ისმის ასწლეულების შემდეგაც ისტორიული სამშობლოს დიდ ნაწილს მოწყვეტილი უფროსი თაობის გურჯების მეტყველებაში დღეს და ასეთია ვითარება ლექსიკის შენარჩუნებისა და სიტყვაქმნალობის თვალსაზრისით.

დამოწმებული ლიტერატურა:

- გიგინეი შვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961* – გიგინეი შვილი ი. თოფურია ვ. ქავთარაძე ი. ქართული დიალექტოლოგია. I. თბ., 1961.
- თოფნი შვილი 2010* – საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია, როლანდ თოფნი შვილის საერთო რედაქციით. თბ., 2010.
- Март 1910* – *Март Н.* Дневник поездки в Шавшетию и Кладжетию, см. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. Кн. 7. С.-Петербург. 1910.
- მარტიროსოვი 1972* – *მარტიროსოვი ა.* ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის. თბ., 1972.
- ფუტკარაძე 1993* – *ფუტკარაძე შ.* ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავუხებურებანი ისტორიული ტაოკლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველებების მიხედვით. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1993.
- Шанидзе 1957* – *Шанидзе А.* Принципи класификации грузинских диалектов. Труды объединенной научной сессии Академии Наук Закавказских республик по общественным наукам. Баку, 1957, стр. 828-832.
- ძიძიგური 1970* – *ძიძიგური შ.* ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი. თბ., 1970.